ცნობის ფურცელი

№ 2215 ოთხშაბათი, 23 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2215

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—8 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ალექსანდრე გიორგის ძე სათთამშვილი და ნინო მზეკელს ასული მაისურაძე შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი—ძვირფასის ცოლისა, დანარჩენნი—შვილისა და დის,

სოფიო ლაზარეს ასულის სათთამშვილისას.

მიცვალებულს დასაკრძალავად გამოასვენებენ დილიდან. ბათუმის ქუჩა, სახლი მალიანცისა, № 4, წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკკლესიაში, ხუთშაბათს, 24 ივლისს, დილის 9 საათზე. (1—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.
ექ. ვ. ხოჯოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.
სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ვლადიკავკასიის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ბ.
(წდ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახლშეიშვილი
15 ივლისიდან 1 ლ აგვისტომდე მიიღებს ავადმყოფებს ახალციხეში. (3—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აცხადებს

მთარგმნელთა საყურადღებოდ:

გასამრჯელო მთარგმნელებს მიეცემათ მხოლოდ იმ პიესების თარგმნაში, რომელიც წინადვე გადასათარგმნელად გამგეობის მიერ მოწონებული იქნება. მსურველთ შეუძლიანთ წარუდგინონ გამგეობას სათარგმნელად არჩეული პიესა და, თუ გამგეობამ მოიწონა, მთარგმნელს, გადათარგმნის შემდეგ, გასამრჯელო მიეცემა, თუნდაც პიესა დამდეგ სეზონში ვერ დაიდგას სცენაზე. (5—უ.—2)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. როგორც ვიცით, ბარნარდ-კესტლში პალატის დეპუტატად მუშების კანდიდატი ჰენდერსონი აირჩიეს. ინგლისურ გაზეთების აზრით, ეს არჩევანი ჩემბერლენის სატამოჟნო პოლიტიკის დამარცხება იყოო. მარტო უნიონისტების ზოგიერთი გაზეთი, მაგალითად „ტაიმს“-ი, არ ეთანხმება ამ აზრსა. უნიონისტების სხვა გაზეთები კი არწმუნებენ თავიანთ პარტიის მეთაურებს, გაიგეთ, რომ ჩვენი ხალხი თავისუფალ ვაჭრობის მომხრეაო. ლიბერალთა წრეებს მუშების კანდიდატის გამარჯვება ლიბერალზე არც თუ ძლიერ გაეხარებიათ. ლიბერალურმა გაზეთმა „დაილი ნიუს“-მა მოწინავე წერილი უძღვნა ამ არჩევანს. გაზეთი სწერს:

„ბარნარდ-კესტლში მომხდარ არჩევნის შედეგი საზოგადოდ მოსაწონია: ეს არჩევანი გვიჩვენებს, რომ ჩვენი ხალხი წინანდებურად თავისუფალ ვაჭრობის მომხრეა. მაგრამ ამ არჩევანს მეორე მხარეცა აქვს და ეს მხარე ჩვენ ნაკლებ გვაკმაყოფილებს“. გაზეთი აღნიშნავს, რომ პროგრესისტებს (ლიბერალებსა და მუშებს) განხეთქილება მოუვიდათ და არც ლიბერალებმა, არც მუშების პარტიამ ერთმანეთს არა დაუთმეს რა და ამით კინაღამ საერთო მტერი არ გაახარესო. „დაილი ნიუს“-ი მაინც იმ აზრისაა, რომ ბარნარდ-კესტლს სწორედ ისეთი დეპუტატი უნდა აერჩია, როგორიც ჰენდერსონიაო, რადგან ამ საარჩევნო ოლქში დიდი უმრავლესობა მუშები ცხოვრობენო. გაზეთი განაგრძობს:

„აი, სწორედ ამნაირ, პირდაპირ ფაბრიკებიდან, მადნებიდან, ქარხნებიდან და სახელოსნოებიდან მოსულ კაცების შემწეობით გვაქვს იმედი ახალი სიცოცხლე ჩავბეროთ პროგრესიულ მოძრაობას. პარლამენტი სავსეა ადვოკატებით, მემამულეებით, მელუდეებით, მადნის პატრონებით, ბანკირებითა და მეფაბრიკეებით; ესენი ყოველ საქმეს საკუთრების თვალით უყურებენ. ბევრჯელ ამათ ძლიერ კარგადა და ვრცლად ესმით თავიანთი მოვალეობა, ჩვენც არა ვფიქრობთ ამათ ამაგისა და ღვაწლის დამცირებას, მაგრამ პარლამენტის წევრსაც, როგორც სხვა კაცს, არ შეუძლიან თავი დააღწიოს თავის სოციალურ და ხელობის წრის გავლენას. განსაზღვრულ წრის, ანუ კასტის კაცი ყოველთვის ამ კასტის წარმომადგენელი იქმნება; საკუთრების კაცი ყოველთვის საკუთრების წარმომადგენელია. ეხლა დროა, რომ ჩვენ ხალხს თავისი საკუთარი წარმომადგენელი ჰყვანდეს. პარლამენტი ხალხის ნამდვილი და უტყუარი სარკე უნდა იყვეს; რაც კი ყველა ჩვენებურ კლასს საუკეთესო ზნეობრივი და გონებრივი ძალა მოეპოვება, იქ უნდა იკრიბებოდეს“. გაზეთი მაინც ეუბნება მუშებს, მარტო თქვენ არ შეგიძლიანთ „პროგრესის ეტლის ზიდვაო“. მაგრამ თუ მუშების პარტია „გონიერად მოიქცევა, თამამად შეუძლიან პარლამენტის უმთავრესი პროგრესიული ძალა უფრო მარცხნივ გადასწიოს და ლიბერალების მაგიერ რადიკალები გააძლიეროს. მუშების პარტიას თავისი საბოლოო მიზანი და საქმე არ უნდა ავიწყდებოდეს, მაგრამ ჯერ აუცილებელ, საჭირო რეფორმების ასრულებას უნდა შეუწყოს ხელი, რომ ამ რეფორმებით უფრო დიდ გამარჯვებას გაუკაფოს გზა“. დასასრულ გაზეთი არა თხოულობს, რომ ლიბერალებისა და მუშების პარტიებმა ფორმალური კავშირი შეჰკრან, მაგრამ სურვილს კი მაინც აცხადებს, რომ „ამას იქით ლიბერალურ პარტიის უმთავრესი აღმასრულებელი კომიტეტი და მუშების წარმომადგენლები არჩევნის დროს ერთმანეთს თავ-თავიანთ ძალის აცნობებდნენ, შეთანხმებით იქცეოდნენ და რასაც ერთმანერთის თანხმობით დაადგენენ, სავალდებულო იყოს ორსავე პარტიის ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებისათვის“.

საფრანგეთი. ამას წინად იზერის დეპარტამენტში სენატორის არჩევანი მოხდა და რადიკალი დეპუტატი რივე აირჩიეს. რივემ 705 ხმა მიიღო, იმისმა მეტოქემ, ქალ. გრენობლის მოურავმა ზომიერმა (მელინისტმა) სტეფანე ქემ მხოლოდ 493 ხმა მიიღო. სწორედ ამ დეპარტამენტში მთავრობამ „გრან შარტროზის“ მონასტერი დახურა. კლერიკალებმა დიდი აგიტაცია გამართეს, თავიანთ კანდიდატის მელინისტის არჩევა უნდოდათ, მაგრამ ვერას გახდნენ. არჩევის შემდეგ იზერის დეპარტამენტის რესპუბლიკელებმა (სამინისტროს მომხრეებმა) მისასალმებელი ადრესი გაუგზავნეს კომბსა. ადრესში ნათქვამია: „იზერის საარჩევნო კოლეგია თავის მოვალეობად სთვლიდა სამაგიერო გადაეხადა იმათთვის, ვინც რესპუბლიკას ულალატეს და მთავრობის მამაც მეთაურს საზიზღარ ბრალსა სდებდნენ“. შემდეგ რესპუბლიკელები ულოცვენ პირველ მინისტრს იმ სიმამაცეს, რომელიც კომბმა კონგრეგაციებთან ბრძოლაში გამოიჩინა, და თავიანთ დახმარებას ჰპირდებიან ყოველთვის, როცა კი „საერო და რეფორმატორულ რესპუბლიკის გამარჯვებისთვის“ დასჭირდება.

ავსტრო-ჰუნგრეთი. 13 ივლისს ვენაში, პრატერში, სოციალ-დემოკრატების პარტიამ დიდი კრება მოახდინა. კრებას 10 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. კრებაზე ლაპარაკი ჩამოაგდეს, საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლა განვაახლოთო და ბოლოს ამნაირი რეზოლიუცია მიიღეს: ეხლანდელ საარჩევნო წესების წინაალმდეგ პროტესტი გამოცხადდეს, რადგან ეს წესები მეტის-მეტად აბრკოლებს სოციალურ პროგრესსაო და მოითხოვეს, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება მიენიჭოს ხალხსაო. დროგამოშვებით კრებაზე დიდი შფოთი ასტყდებოდა ხოლმე, მეტადრე როცა დეპუტატმა პერნერსტორფერმა და ადლერმა პირველ-მინისტრის გაკიცხვა დაიწყეს და დეპუტატმა შუმეიერმა ლაპარაკი დაიწყო, რომ მთავრობას ერც-ჰერცოგების შენახვა სახელმწიფო ხარჯზე არ უნდა ეკისრნაო. პოლიციელმა მოხელემ შუმეიერს ლაპარაკი გააწყვეტინა, მაგრამ მთელმა კრებამ ძლიერი პროტესტი გამოუცხადა პოლიციელს. კრების შემდეგ, ხალხმა დემონსტრატიულად პარლამენტის წინ გაიარა; პოლიციასთან შეტაკებაც მოუვიდა; 11 კაცი დაატუსაღეს. იმავე დღეს სოციალ-დემოკრატებმა ამნაირივე კრება სხვა ადგილებშიაც მოახდინეს: ფლორადსდორფსა, ბრიუნში და სხვ.

◆ ავსტრო ჰუნგრეთის საიმპერიო ფინანსთა მინისტრად და ბოსნია-ჰერცოგოვინას მთავარ-მართებლად გარდაცვალებულ კალაის მაგიერ ბარონი ბურიანი დანიშნეს. ბურიანი ჩამომავლობით ჰუნგრია, ყოფილ სამხედრო მინისტრის ფეიერვარის სიძე; აქამდე ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩად იყო ათინაში. ბურიანი ბალკანეთის საქმეების კარგ მცოდნედ ითვლება, რადგან თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე სულ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე გაატარა. 1886—1895 წ.წ. სოფიაში იყო ჯერ მთავარ-კონსულად და მერე ელჩად და ძლიერ ხელიც შეუწყო ავსტრიის გავლენის გაძლიერებას ბოლგარიაში. მაინც

ფელეტონი

საყურადღებო გამოფენა

ეს გამოფენა გაიმართა 2 ივნისს გერმანიაში, ქალაქ დრეზდენს და ჯერაც არ დასრულებულა. სახელად „ქალაქების გამოფენას“ ეძახიან, რადგან ქალაქის თვითმმართველობანი იღებენ მხოლოდ მონაწილეობას. ამ გამოფენას გერმანიამ კი არა, მთელმა ევროპამ მიაქცია ყურადღება და არც საკვირველია: ქალაქებმა გამოჰფინეს ის, რაც ხანგრძლივ შრომითა და მეცადინეობით შეჰქმნეს.

მოგეხსენებათ, წარსულ საუკუნის დასაწყისიდან ხალხთა ცხოვრებაში ქალაქმა უპირველესი და უპირატესი ადგილი დაიჭირა. იგი მეტად ძალზე გადაიქცა და სოფელი ყმად და მონად გაიხადა. ყველაფერი, რასაც-კი ცხოველ-მყოფელობისა და სიცოცხლის ნიშან-წყალი ეტყობოდა, ქალაქისკენ გაეშურა. ბოლოს ხომ ქალაქი მთელის სახელმწიფოს ბაზრად, ქარხნად, სახელოსნოდ და მაღაზიად გადაიქცა. ქალაქის წარმატებას ძალიან შეუწყო ხელი თვით-მმართველობამ. ის უზარ-მაზარი საავადმყოფოები, უთვალავი სკოლები, სამაგალითოდ მოწყობილი წიგნთ-საცავები, საუცხოვოდ დაგებული ქუჩები და მრავალი სხვა სიკეთე, რომლითაც ევროპის ქალაქებს დღეს თავი მოაქვთ, შედეგია თვითმმართველობისა და თვით-მოქმედებისა. განცვიფრებას იწვევს ამ მხრივ გერმანია და იმისი ქალაქები. ყველამ ვიცით, რომ გერმანიამ ერთბაშად გამოიღვიძა და გაშალა ფრთები. წინად დაქსაქსული და შინაურ კინკლაობით დაოსებული გერმანია, რომელსაც არც ქალაქები მოეპოვებოდა, არც ვაჭრობა ჰქონდა და არც მრეწველობა, დღეს სამრეწველო საქმეში ინგლისსა და შეერთებულ შტატებს უწევს მეტოქობას. გერმანია ახლა საუკეთესო ნაწარმოებსა ჰგზავნის დიდ ოკეანეს კუნძულებში, მცირე და შუაგულ აზიაში, აფრიკაში, და, ასე გასინჯეთ, თვით ინგლისშიაც-კი.

რაღა თქმა უნდა, ასე განვითარებულ ქალაქის ცხოვრების შესწავლა ძალიან საინტერესოა. სწორედ ამ სამსახურს უწევს დღევანდელი გამოფენა ყველა მსურველს. გაზეთები ბევრ ცნობას გადმოგვცემენ ამ გამოფენის შესახებ, გვსურს ვისარგებლოთ და ცოტა რამ ვაუწყოთ მკითხველს. არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჩვენებურმა ქალაქებმა თითქმის არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ამ გამოფენას. არც ბათუმმა, არც ქუთაისმა და არც სხვა ქალაქმა არ იფიქრა კაცების გაგზავნა ამ გამოფენაზე. ტფილისის საბჭოში, მართალია, ლაპარაკი ჩამოვარდა გამოფენის შესახებ, მაგრამ საყურადღებოდ ვერა სცნეს იგი და, მგონი, დაადგინეს, ვისაც ფული აქვს, ის წავიდესო. რაღა თქმა უნდა, ფულიანი კაცი წავა, მაგრამ ტფილისს მოუტანს რასმეს თუ არა, საეჭვოა. სამწუხარო კია ეს მოვლენა: ჩვენი „მამები“ ბევრს სასარგებლო რამეს ისწავლიდნენ, ჰნახავდნენ, გაიცნობდნენ და შეიძლება მაშინ მაინც აეღოთ ხელი დაუსრულებელ ლაპარაკზე და საქმეს შესდგომოდნენ. მაგრამ ამას თავი გავანებოთ, თორემ „წინასიტყვაობა“ ძალიან გაგვიგრძელდა.

ხსენებულ გამოფენაში მონაწილეობას იღებს გერმანიის ყველა ქალაქი, სადაც 25,000 მცხოვრებზე ნაკლები არ არის. ასეთი ქალაქი 128 აღმოჩნდა. რასაკვირველია, გამოფენა მრავალის განყოფილებისაგან შესდგება, მაგრამ, როგორც კორესპონდენტები გადმოგვცემენ, ახლად მისულის ყურადღებას პირველად იქცევს სასტატისტიკო ნაწილი და ის განყოფილება, სადაც თავ-მოყრილია გეგმები, მოდელები და ფოტოგრაფიები საბჭოსა და გამგეობის შენობებისა, მოდელები ქალაქის ხიდებისა, მოკირწლულ ქუჩებისა, არხებისა, განათებისა, ტრამვაებისა და მრავალ სხვისა. ვინ იცის, მუყაითი და მშრომელი „მამა“ ქალაქისა რამდენ ჭკუას ისწავლის და სასარგებლო ცნობას გამოსძებნის ამ განყოფილებაში! საყურადღებოა სტატისტიკა. გერმანიის ქალაქები ამ საქმეში ძალიან დახელოვნდნენ. თვითეულ ქალაქს სასტატისტიკო ნაწილი საუცხოვოდ აქვს მოწყობილი. ყველაფერი დაწვრილებით არის აღნიშნული ამ ნაწილის დავთრებში. გამოფენაზე, მაგალითად, სასტატისტიკო ცნობებია თვით დრეზდენის შესახებ. ამ ცნობებში მოთავსებულია ისიც, თუ რამდენი სახლია დრეზდენში, რამდენი სართულია, რამდენი ოთახია; რამდენი კაცი შევიდა წლის განმავლობაში დრეზდენს, რამდენი გავიდა იქიდან, რამდენი კაცი იჯდა ტრამვაის ვაგონებში, ომნიბუსებში; რა დროს რა ფასი ედო პურს, კარტოფილს, ხორცს, ერბოს; რამდენი კაცი უსახლ-კარო, რამდენი კაცი ათევს და-

ბურიანის დანიშვნა ბევრს გაუკვირდა: ჰფიქრობდნენ, რომ კალაის ბადლად რომელსამე ჰუნგრეთის პარლამენტის მოღვაწეს დანიშნავენო.

იტალია. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის რომაელ კორესპონდენტს პაპის არჩევის თაობაზე ცანარდელის სამინისტროს ერთს წევრთან ულაპარაკნია. იტალიის მინისტრს შემდეგი უთქვამს კორესპონდენტისათვის:

„იტალიის მთავრობა რაიმე მოლაპარაკების გამართვას იტალიის კარდინალებთან სულაც არ აპირობს. იტალიას საკუთარი კანდიდატი არა ჰყავს და მხოლოდ ერთი რამ ჰსურს: ახალმა პაპმა თავი დაანებოს და მოასვენოს. ვატიკანის ამბებს იტალია სხვა სახელმწიფოებზე უფრო დინჯად უცქერის: იტალიას, იმაზე მეტს ველარას უზმენ, რაც პიოს მე-IX-მ და ლეონ მე-XIII-მ უყვეს. თუმცა იტალიას პაპის არჩევანი მაგრე რიგად არ აინტერესებს, მაგრამ ყველაზე ძლიერ-კი კარდინალ კაპეჩელატროს არჩევანი ესიამოვნება. ყოველი ახალი პაპი ძალა-უნებურად იტალიას დაუწყებს ჩივილს, საერო ხელმწიფებმა წამართვა და ვატიკანში დამამწყვდიაო, თუმცა კი ვატიკანში სერიოზულად არავინ აღარა ჰფიქრობს საერო ხელმწიფების დაბრუნებას. ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, ვითომ ახალი პაპი იტალიას შეურიგდეს და ან რაიმე შეთანხმება ჩამოაგდოს ჩვენთან. ამ შეთანხმებით ვატიკანს თავისი მსოფლიო მნიშვნელობა დაეკარგებოდა, თითონ იტალია კი პაპის ტახტს ახალს აღარას დაუთმობს; რაც წინად დაუთმო, ისიცა კმარა; არც კლერიკალურ პოლიტიკას დაადგება იტალია. ასე რომ პაპისა და იტალიის ერთმანეთთან შეთანხმება შეუძლებელია. იტალიისათვის ისიც კარგი იქნება, რომ ახალმა პაპმა რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიაქციოს იტალიას, თითონ იტალიაც ამას იქით არაფერს ყურადღებას არ მიაქცევს ვატიკანს".

ბოლგარია. ოსმალეთი, სხვათა შორის, დაჰპირდა ბოლგარიას მაკედონიაში დახურულ ბოლგარულ სკოლებს გავხსნიო. მაგრამ ოსმალეთის მთავრობა თხოულობს, რომ სკოლის მასწავლებლები ოსმალეთის საოლქო მმართველობისაგან იღებდნენ სწავლების უფლებასაო. ბოლგარია კი წინააღმდეგია ამნაირ წესისა და თხოულობს, რომ მასწავლებლებს წინანდებურად ბოლგარიის ეგზარხტი ამტკიცებდესო.

იაპონია. გაზეთები დაჟინებით სწერდნენ, იაპონიასა და რუსეთს უსათუოდ ომი მოუვათო. ეხლა კი ზოგიერთი გაზეთი ამტკიცებს, რომ რუსეთი და იაპონია ვითომ მორიგებულიყვნენ. რუსეთის სამხედრო მინისტრი გენერალი კუროპატკინი სწორედ ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად წავიდა ტოკიოში და იქ იაპონიის პოლიტიკოსების დახმარებით იაპონიის მთავრობას მოურიგდაო. ამ მორიგების პროექტი ეხლა იაპონურ გაზეთ „ნიროკუ შიმპო"-ს გამოუცხადებია. ინგლის-იაპონიის ხელ-შეკრულობაც ამავე გაზეთმა გამოაცხადა პირველმა. ეს შეთანხმება ამნაირია:

„იმ აზრით, რომ მანჯურიასა და კორეაში სავაჭრო და საპოლიტიკო საქმეებზე უთანხმოება თავიდან აიცილონ და ერთმანეთის უფლება არ დაარღვიონ, რუსეთი და იაპონია მორიგდნენ, რომ

1) რუსეთი მოვალეა, რაც შეიძლება მალე მანჯურიიდან, ესე იგი შინკინისა და ჩჟილის პროვინციიდან ჯარები გაიყვანოს ინგლის-რუსეთის ხელ-შეკრულობის თანახმად; მაგრამ ჩინეთის აღმოსავლეთის რკინის გზისა და აგრეთვე კანონიერად შეძენილ უფლებათა დასაცველად, რუსეთს უფლება აქვს ხსენებულ პროვინციებში პოლიციელი დარაჯი იყოლიოს, მაგრამ იმდენი კა, რომ ჩინეთის დამოუკიდებლობასა და იაპონიის ვაჭრობას შიში არა ჰქონდეს.

2) რუსეთი წინააღმდეგი არაა, რომ ფუნგშიენისა, იენკონისა და ტატუნგკონის ნავთსადგურებში თავისუფლად შეეძლოთ ვაჭრობა როგორც იაპონიას, ისე სხვა სახელმწიფოებს. რუსეთის პოლიცია ამას იქით მოვალეა დახმარება და ქომაგობა გაუწიოს იაპონელ ვაჭრებს მანჯურიაში, თუ ვინიცობაა ამ ვაჭრებს ან აჯანყებული ხალხი დაეცემა, ან სხვა რამ გაჭირვება დაადგებათ.

3) რუსეთი თანახმაა, რომ ხსენებულ ნავთ-სადგურებში იაპონიის საკონსულოები დაწესდეს, თუ იაპონია მოინდომებს, რასაკვირველია.

4) ადმინისტრაციის წესები მანჯურიაში ჯერ-ჯერობით უცვლელად რჩება, მაგრამ ამ წესებმა იაპონიის ქვეშევრდომთა თავისუფლებასა და კანონიერ ინტერესებს კი არაფერი არ უნდა აზარალონ. რუსეთი ნებას აძლევს იაპონიის ქვეშევრდომთ მანჯურიის განსაზღვრულ ადგილებში დასახლდნენ.

5) რუსეთი მოვალეა იაპონიის გავლენის გაძლიერებას კორეაში დასთანხმდეს; მოვალეა აგრეთვე ნება მისცეს იაპონელებს კორეიისაგან შემდეგი უფლებაც მიიღონ, თუ, რასაკვირველია, რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესებს ამით არა ევნება-რა.

I. უფლება გზის გაყვანისა სეულიდან ვიეში.

II. კორეის იმპერატორის უმთავრეს მრჩეველად იაპონელი დაინიშნოს.

III. კორეის ნახევარ-კუნძულზე ტყის მოჭრის ნება ეძლევათ იაპონელებს.

6) ამ შეთანხმებას მარტო დროებით აქვს ძალა; საბოლოო ხელ-შეკრულებას რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა და იაპონიის ელჩმა პეტერბურგში უნდა მოაწერონ ხელი. თუ ორივე სახელმწიფო ერთმანეთის თანხმობით ამ ხელშეკრულებაში რისამე გამოცვლას მოინდომებენ, სანამ ხელს მოაწერდნენ, უფლება აქვთ ეს პირობა შესცვალონ.

გაზ. „ნიროკუ" უმატებს, გენერალი კუროპატკინი ჯერ იაპონიაში ჩამოსული არ იყო, როცა ეს ხელშეკრულობა ბარონ როკენმა იაპონიის მთავრობას წარუდგინაო.

* * *

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 22 ივლისს, მისის იმპერატორებით უდიდებულესობის **დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის** სახელწოდების დღეს, სიონის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა უფროსნი. დღისით ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული, ხოლო საღამოს—გაჩირაღდნებული.

✦ გაზეთ „კურიერ"-ს ბათუმიდან დეპეშით ატყობინებენ: „17 ივლისს. იმ ქარხნებში, სადაც ყუთებს ამზადებენ, **უთანხმოება მოუვიდათ მუშებსა და ქარხნის პატრონებს**, ამიტომ შეჩერებულია მუშაობა და ყუთებით გემების დატვირთვა. მუშაობის შეჩერების გამო დიდი გაჭირვებაა. ნავთსადგური გემებით გაივსო".

✦ **საბუნჩაში**, როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, პოლიცმეისტერს შემდეგი განცხადება გაუკრავს: „რადგან ბალახანა-საბუნჩაში ვიღაც ბოროტ-მოქმედნი ძალ-მომრეობას სჩადიან, ამიტომ ვაცხადებ, რომ სამხედრო დარაჯნი შეიპყრობენ და პოლიციაში გაჰგზავნიან ყველას, ვინც საღამოს 9 საათს შემდეგ ქუჩაში გაივლის ან ქვეითად ან ეტლით. ყველა იმათ, ვისაც 9 საათს შემდეგ საქმე აქვთ, მაგალითად, ფირმების გამგეებმა, მოხელეებმა და სხვამ პოლიციისაგან მოწმობანი უნდა აიღონ".

✦ 19 ივლისს **ბაქოდან რუსეთს წასულა** 60 მუშა კაცი, რომელნიც ნავთის ქარხნებში მუშაობდნენ. **ჯამაგირი** ყველას სრულად მიუღია.

✦ ქუთაისის გუბერნატორი გენერალი სმაგინი 20 ივლისს **შაათურიდან** ქუთაისს **წავიდა**.

✦ 20 ივლისს, საღამოს ხანს, **ყარაიაზის სადგურზე ცეცხლი გაჩნდა**. ცეცხლი გაჩნდა საქონლის სადგურზე და გადიწვა ნავთი, თივა, შპალები და სხვა. ჰფიქრობენ, რომ ცეცხლი განგებ წაუკიდა ვიღამაც. მალე ცეცხლი შენობებზედაც გადავიდა. ამ ცეცხლის გამო გზა შეიკრა და სახალხო მატარებელი, ტფილისიდან ბაქოში მიმავალი, დილამდე აღარ გასულა.

✦ წელს **ვენახის პატრონთ** ძალიან უჭირდებათ შაბიამანისა და გოგირდის შოვნა ვაზის საწამლებლად. როგორც შარშან, ისე წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროს ადრე შემოაკლდა ვაზის საწამლებელი მასალა და ეს რამდენიმე კვირაა აღარც ერთი გირვანქა აღარ მოეპოვება როგორც ტფილისში, ისე სიღნაღისა, თელავისა და სხვა განყოფილებებში. ბევრნი მიდიან სამეურნეო-საზოგადოების სადგომში, თხოულობენ გოგირდს, მაგრამ ხელ-ცარიელნი უკანვე ბრუნდებიან. ნუ თუ სამეურნეო საზოგადოებას არ შეუძლიან, ცოტაოდენი სიცოცხლე გამოიჩინოს და ამ საქმეში მაინც დახმარება გაუწიოს სოფელს. სხვა რომ არა იყოს-რა, შარშანდელ გამოცდილების შემდეგ მაინც უნდა გამოეწერა საკმაო მასალა.

✦ **ქუთაისიდან გვწერენ**: „22 ივლისს, დილით, მაღაზიის პატრონმა ფარნა გაბუნიამ რევოლვერი ესროლა ერთ თავის ნოქარს და ხელში დასჭრა. გაბუნია ბორჯომში ყოფილა და დილით ჩასულა ქუთაისს, თავის მაღაზიაში. როდესაც მაღაზია დაკეტილი დაჰხვედრია (8 საათზე ადრე ყოფილა), ლაპარაკი მოსვლია ნოქართან. უსაყვედურნია ისიც, რომ წინა დღეს, კვირას, მაღაზია დაკეტილი რად იყოო. შელაპარაკებულან და ამ დროს გაბუნიას რევოლვერი უსროლია".

✦ ქართულ **დრამატიულ საზოგადოების** გამგეობამ, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, დაადგინა სასყიდელი მისცეს იმათ, ვინც ქართულ სცენისათვის კარგ პიესებს გადმოსთარგმნიან რუსულსა და ევროპიულ ენებიდან. საჭიროა მხოლოდ წინდაწინვე პიესა გამგეობამ განიხილოს და მოიწონოს.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობა შეუდგა აგრეთვე მომავალ სეზონისათვის დრამატიულ დასის შედგენას. გამგეობის მინდობილებით ვ. გუნია აგვისტოს შუა რიცხვებში გამართავს ახლად შემსვლელთათვის გამოსაცდელ წარმოდგენას. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს, უნდა ეხლავე ჩაეწეროს.

✦ **იურიევიდან გვწერენ**: „15 ივლისს, ღამე, დაიწვა აქ ის სახლი (მელნიჩნი ქუჩა, №-5), რომელშიაც ქართველ სტუდენტთა წიგნთ-საცავ-სამკითხველო იყო. იქვე იყო შენახული ოცი წყვილი ქულაჯა, სხვა კიდევ ბევრი ტანისამოსი და ყოველივე აჯეულება, რომელიც ქართულ საღამოს გამართვაზედ არის ხოლმე საჭირო. ამ სახლში არავინ იდგა ამ ზაფხულს და ყოველივე ეს გარეშე კაცს ებარა, რომელსაც აგრეთვე ყველაფერი დაეწვა. ამ კაცსავე ებარა სამის ქართველ სტუდენტის მიერ დატოვებული ნივთები. ყოველივე ეს ცეცხლმა შთანთქა".

✦ **საჩხერის საბოქაულოს სოფელ ბერეთში** ამ რამდენისამე დღის წინად **დიდი სეტყვა** მოსულა. სეტყვას წაუხდენია ვენახები, სიმინდიანი ყანები და ხეხილის ბაღები. ბერეთის გარდა დაზარალებულია იმის მახლობლად მდებარე ხუთი სხვა სოფელი.

✦ როგორც გვატყობინებენ, **მსახიობი ალექსი-მესხიშვილი** ორის კვირის შემდეგ დაბრუნდება ქუთაისს.

✦ ეს მეორე თვეა გაცხარებული მუშაობაა ტფილისის **სათავად-აზნაურო სკოლის შენობის** დასამთავრებლად. ამ დღეებში დაამთავრებენ მესამე სართულს და შეუდგებიან მეოთხის აგებას. საამშენებლო კომიტეტის აზრით, მეოთხე სართული სექტემბრის ბოლო რიცხვებისათვის დასრულდება.

✦ ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე ე. ჯუგუშვილი უკვე შეუდგა ტფილისის **განაპირა უბნებისა და სოფლებისაგან** შემდგარ საბოქაულოს მართვა-გამგეობას.

✦ როგორც „ტიფ. ლის."-ს ატყობინებენ, აჯიკენტის მახლობლად, ღამე, ვიღაც

მეს გარედ, რამდენი ოჯახი სცხოვრობს ერთ ოთახში, ორში, სამში და სხვა-და-სხვა სტატისტიკის შეკრებას ის გარემოება უწყობს ხელს, რომ გერმანიაში პოლიცია უმთავრესად თვით-მმართველობის ხელშია. ზოგ ქალაქში პოლიცმეისტრად გამგეობის ერთ-ერთი წევრია ხოლმე. სწორედ ამიტომ გამოფენაზე არც პოლიცია დაივიწყეს: გამოფენილია მოდელები საპოლიციო უბნებისა, და ყველა ის, რასაც პოლიციასთან კავშირი აქვს.

ქალაქის ჯანმრთელობისა და მოწყობა-მოლამაზების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ქუჩას. სადაც ქუჩა კარგია, იქ უთუოდ ქალაქის სხვა ნაწილებიც კარგად იქნება მოწყობილი. ქუჩის სიკარგე მარტო ზედა პირის სილამაზითა და სიკოხტავით არ გაიზომება. მეტი სამუშაო ქუჩის ქვეშაა და არა ზედა პირზე. კარგ ქალაქში ქუჩის ზედა პირი სახურავია მხოლოდ. ამ სახურავს ქვემოდ მოქცეულია არხები, მილები, კაბელები, ტუნელები და მრავალი სხვა რამ. ქალაქის სისუფთავე და უვნებლობა სანიტარის მხრივ მთლად ქუჩის სიავ-კარგეზეა დამოკიდებული. რაღა თქმა უნდა, ევროპაში ეს ჭეშმარიტება კარგა ხანია შეიგნეს და კიდეც შეუდგნენ როგორც ქუჩის ზედა პირისა, ისე ქვედა ნაწილის მოწყობას.

დაუგებელ ქუჩას შეუძლებელია კაცი შეჰხვდეს ევროპის თვით უმნიშვნელო ქალაქშიაც-კი. გერმანიის დიდმა ქალაქებმა ხომ ათასი მასალა იხმარეს ქუჩების დასაგებად: უბრალო ქვა, თლილი ქვა, ოთხ-კუთხი ქვა, აგური, ასფალტი და სხვა. გამოფენაზე ყველა ამის გაცნობა და ნახვა შეიძლება. ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს თურმე ერთგვარი აგური, რომელსაც ეხლა გერმანიაში ქუჩების დასაგებად ხმარობენ. ამ რამდენისამე წლის წინად ბერლინში დაარსდა ერთი საზოგადოება. ამ საზოგადოების ქარხნებში მზადდება თიხისაგან სხვა-და-სხვა ჭურჭელი და ნივთები. საზოგადოება თიხის ჭურჭლითა და ნივთებით დიდ მეტოქობას უწევს თურმე რკინის, სპილენძისა და ხის ასეთსავე ნაწარმოებს. გამოფენაზე საზოგადოებას გაუტანია, მაგალითად, თიხის ბოჭკები, ვანები, მილები, სკამები, სტოლები და სხვა. ესევე საზოგადოება ამზადებს თიხის აგურს ქუჩებში დასაგებად. სიმაგრით ეს აგური არც ერთ ქვას არ ჩამოუვარდება თურმე, თვით-გრანიტსაც-კი. აი, ამ აგურს ხმარობენ დღეს ბევრგან გერმანიაში.

როგორც გამოფენა ამტკიცებს, გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე ქუჩების დაწმენდასა და მორწყვას. ავიღოთ დრეზდენი. ამ ქალაქში 493,700 მცხოვრებია (1903 წ.), ე. ი. $2^1/_2$-ჯერ მეტი, ვიდრე ტფილისში (200 ათასი). ყოველ წელიწადს დრეზდენის თვით-მმართველობა ქუჩების დასასუფთავებლად და დასაგველად ჰხარჯავს 500 ათას მანეთს (1901 წელს, მაგალითად, დახარჯა 1,069,713 მარკა, ე. ი. ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი). ტფილისს რომ დრეზდენის უნარი ჰქონდეს და იმის კვალობაზე იქცეოდეს, უნდა ჰხარჯავდეს 200 ათას მანეთს. არ ვიცი, დღეს რამდენს ანდომებს ქალაქი ქუჩების დასუფთავებას, მაგრამ ვფიქრობ-კი, რომ დანახარჯი ზემოდ მოყვანილ ციფრის მეოთხედს (50 ათ. მან.) არ აღემატება. ქუჩების დასაგველად როგორც დრეზდენსა, ისე სხვა ქალაქებში სამი საშუალება იხმარება: 1. საგველი მაშინა. თითო მაშინა სწმენდავს ქუჩის 5000—6000 ოთხ-კუთხ მეტრს, 2. ქუჩის გარეცხვა; ჰრეცხავენ იმ ქუჩებს, სადაც ასფალტია დაგებული. არის ერთგვარი მანქანა, ამ მანქანის შიგნით წყალია, ხოლო გარედან შჩოტკები აქვს მიკრული; მიდის ეს მანქანა, თან ტრიალებს, წყალს ასხამს და შჩოტკებით ჰწმენდავს ქუჩას. წყალი და ტალახი უსუფთაობის სადენებში ჩადის, ხოლო ნაგავს იგივე მანქანა სხვეტ ნიჩბებით აქა-იქ უყრის თავს, საიდანაც შემდეგ დროგებით გააქვთ. თვითო ასეთ მანქანისთვის 7 კაცია საჭირო. ერთი მანქანა ასუფთავებს 30 ათასიდან 37 ათასამდე მეტრს; 3. ხელის ცოცხები და შჩოტკები. ასეთი შჩოტკები და ცოცხები ტფილისელებსაც ბევრი უნახავთ. ხელის ცოცხებით და შჩოტკებით ვიწრო და მიუდგომელ ქუჩებსა ჰგვიან. ქუჩის დასასუფთავებლად დრეზდენს 467 მუშა ჰყავს და მოწყობილი აქვს განსაკუთრებული გამგეობა და კანცელარია. ზამთარში მუშათა რიცხვი ზოგჯერ 2100 კაცამდე ადის. ქალაქს დღეს აქვს: 45 საგველი მაშინა, 18 მანქანა ასფალტით დაგებულ ქუჩების სარეცხად, 84 წყლის საზიდი პატარა ურემი ხელისა, 169 ხელისავე ურემი ნაგვისთვის და სხვა. ამ მანქანებისა და მოწყობილების შეძენა ქალაქს დასჯდომია 50 ათას მანეთად.

ასევე კარგადაა მოწყობილი ქუჩების მორწყვის საქმე. დრეზდენი ამისთვის წელიწადში ხარჯავს 100 ათას მანეთზე მეტს.

როგორცა ჰხედავთ, გერმანიის ქალაქების თვით-მმართველობანი ბევრსა ზრუნავენ მკვიდრთა კეთილ დღეობისა და ჯანმრთელობისთვის. არ ვიხსენიებთ საავადმყოფოებს და სხვა ამ გვარ დაწესებულებებს, რადგან ძნელია ერთ ფელეტონში ყველა ამის აღნიშვნა და აღწერა. მკითხველების ყურადღებას მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტ განმზრახველთ გაუმარცვავთ განჯის გიმნაზიის მოსწავლე-ექსკურსანტები.

◆ **ტფილისის ქალაქის მოურავი** თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელიც 19 ივლისს ბორჯომში წავიდა, გუშინ დაბრუნდა.

◆ **ხუთშაბათს, 24 ივლისს, სხდომა ექნება ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიას სხვა-და-სხვა საქმის განსახილველად.**

◆ შემდეგ ამბავს გვატყობინებენ: „20 ივლისს ერთმა მანდილოსანმა ნაშუადღევის ორ საათზე გაიარა ალექსანდრეს ბაღში. ერთი დედაკაცი ფართუკ შემოკრული სკამზე იჯდა. როგორც-კი დაინახა მიმავალი, გადაუდგა წინ და დაუწყო ლაპარაკი: ქალბატონო, მშიერი ვკდები და ალაგი მიშოვნეთ, ან თქვენ გენდომებათ მოსამსახურე. ფული არ მინდა, ოღონდ ლუკმა მაჭამეთ, ღვთის-გულისთვისაო. მანდილოსანს შეეცოდა და წაიყვანა სახლში. სადილიც აჭამა. ახალმა მოახლემ ყველაფერი გამოჰკითხა, მარტო სცხოვრობთ, თუ ქმარი გყავთო. მანდილოსანმა უთხრა, შვილები არა მყავს და ქმარი-კი ამ ჟამად სხვაგან არისო. ამის შემდეგ მანდილოსანი ისე ექცეოდა, როგორც შინაურ მოახლეს და ტანისამოსის ხდაც დაიწყო. ეს რომ მოახლემ დაინახა, ახლო მივიდა, ალერსით ლაპარაკი დაუწყო, ლოყებზე ხელი წაუსვა და საზოგადოდ, რაღაც უცნაურად იქცეოდა. თანაც ელაპარაკებოდა. ამ დროს სახლში შემოვიდა მეზობლის მოსამსახურე ქალი, ყური დაუგდო ლაპარაკს და, შემდეგ ჩუმად უთხრა დიასახლისს, რომ მოახლის ლაპარაკი ქალისას არა ჰგავსო, უეჭველად კაციაო. დიასახლისი შეუდგა გამოკითხვას და გამოაშკარავდა, რომ „მოახლე" კაცი ყოფილა. ბოლოს ეს უცნაური „მოახლე" გარედ გავარდა და გაიქცა".

რუსეთის ქრონიკა

◆ **პოლიციის დეპარტამენტმა ქ. პეტერბურგიდან აცნობა ქ. ეკატერინოსლავის საგუბერნიო მმართველობას, რომ ამ მოკლე ხანში მას გაეგზავნება 225 სამხედრო რევოლვერი სამაზრო პოლიციის დარაჯების შესაიარაღებლად. ამას გარდა გაეგზავნა თოფის პატრონები: ნოვომოსკოვის მაზრის პოლიციას—3,500 ცალი, პავლოგრადისას—2,600, ზემო-დნეპრისას—2,800, ალექსანდროვისას—2,800, სლავიანოსერბისას—2,900 ბახმუტისას—2,000, მარიუპოლისას—2,900 და ეკატერინოსლავის მაზრის უფროსს—3,000.**

◆ **უფის გუბერნიის უფროსმა, მოკლულ გუბერნატორის ბოგდანოვიჩის ადგილას დანიშნულმა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, შემდეგი სიტყვით მიმართა საგუბერნიო ერობაში მოსამსახურეთ. „თქვენ ყველანი ერობის სამსახურში ითვლებით და თქვენი თანამდებობისა და მოვალეობის დაგვარად უნდა ეცადოთ საერობო საქმეთა კეთილ წარმატებას. საერობო საქმე მთავრობამ მიანდო ადგილობრივ მოღვაწეთ იმ განზრახვით, რომ ისინი, როგორც მცოდნე პირნი, კარგად გაუძღვებიან მას. მთავრობის დაწესებულებათა და საერობო დაწესებულებათა გაყოფა შეუძლებელია: ისინი ერთის სხეულის ნაწილებს წარმოადგენენ. კარგად გახსოვდეთ ეს გარემოება. კეთილ სვინიდისიერ საერობო მოღვაწედ მხოლოდ ის ჩაითვლება, ვინც მთავრობის მიმართულებას ადგია. მეც ამ აზრისა ვარ და თავს მოვალედ ვრაცხ, თქვენს წინაშე აღვნიშნო ეს გარემოება. თქვენ მოღვაწეობას მე ამ ჩემის აზრის მიხედვით დავაფასებ, და ამ აზრით ვიხელმძღვანელებ საერობო მოღვაწეთა დამტკიცების დროს.**

მე იმით არ დავკმაყოფილდები, რომ თქვენ მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულებაში არ იღებთ მონაწილეობას, ერიდებით მას, წინააღმდეგ, უნდა დავრწმუნდე, რომ მხარში უდგიხართ მთავრობას, მხნედ ეწევით მას, მასთან ერთ მიმართულებას ადგიხართ. ამას გარდა საჭიროდ ვრაცხ, რომ თქვენს მოღვაწეობაში სასტიკი გარეგანი წესიერება იქნას დამყარებული; საერობო დაწესებულებაში ისეთი წესი უნდა სუფევდეს, რომ თვითეულმა თქვენგანმა იცოდეს არა მარტო განკარგულების გაცემა, არამედ მორჩილებაც. დარწმუნებული იყავით, რომ მე თქვენი კეთილის მსურველი, პირუთვნელი, სამართლიანი უფლება-მოსილი მსაჯული ვიქნები.

◆ **გაზ. „კრიმსკ. ვესტნ."-ის სიტყვით, ტავრიჩ. საგუბერნიო ერობის წევრი კელლერი გაუგზავნიათ სტამბოლში ყირიმელ თათრების გადასახლების ნამდვილი მიზეზის გამოსაკვლევად.**

◆ **13 ივლისს საიდუმლო პოლიციის აგენტებმა აღმოაჩინეს ხარკოვში სექტანტების, ეგრედ წოდებულ შტუნდისტების, სალოცავი, სადაც 100-დე კაცი და ქალი იყო თავმოყრილი. ლოცულობდნენ და სახარებას კითხულობდნენ. პოლიციამ ოქმი შეუყენა ყველა დამსწრეთ და საქმე სასამართლოს გადასცა.**

◆ **10 ივლისს ქ. იურიევში ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მართლ-მადიდებელ კარლ მელმანისა; მელმანს ჰბრალდებოდა, რომ იგი მართლმადიდებლობის რწმენას არ უნერგავდა თავის შვილს. ოლქის სასამართლოს დადგენილებით ბავშვი მამას უნდა მოაშორონ და მის მართლმადიდებელ ნათესავებს გადასცემენ აღსაზრდელად. თუ არ აღმოჩნდნენ ამგვარი ნათესავები, ბავშვს მთავრობისაგან დანიშნულ მართლმადიდებელ მზრუნველს ჩააბარებენ. მელმანს სასამართლომ 2 თვით დაპატიმრება მიუსაჯა.**

◆ **უმაღლესის ბრძანებით, ქ. პეტერბურგში არსდება სადგილ-მამულო კრედიტის კომიტეტი, ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით. კომიტეტის წევრებად იქნებიან მინისტრები—შინაგან საქმეთა, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, სახელმწიფო კონტროლერი და მთავრობისაგან არჩეულნი სხვა პირნი. კომიტეტის საგანია განხილვა სხვა-და-სხვა საკითხებისა, რომელნიც შეეხებიან სადგილ-მამულო კრედიტის დაწესებულებათა საზოგადო მიმართულებას. ფინანსთა მინისტრი წარმოუდგენს კომიტეტს სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო სადგილ-მამულო ბანკების ანგარიშს; კომიტეტი განიხილავს ანგარიშს იმ განზრახვით, რომ ზემოხსენებულ დაწესებულებათა მოქმედება განაწესრიგოს სახელმწიფოს სარგებლობის მიხედვით.**

◆ **უმაღლესის ბრძანებით, ქ. ოდესის პოლიციას გასაძლიერებლად უნდა მიემატოს სარეზერვო რაზმი, რომელიც 25 პოლიციელთაგან შესდგება.**

◆ **რუსეთის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ ქ. ოდესაში ცხენის რკინის გზაზე მოძრაობა შეჩერებულია მეეტლეებისა და კონდუქტორების გაფიცვის გამო, რომელნიც სამსახურის პირობათა შეცვლას თხოულობენ.**

◆ **საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით, გიმნაზიის პირველ და მეორე კლასსის მოწაფეთ უეგზამენოდ მიიღებენ რეალურ სასწავლებელთა იმავე კლასებში. სამინისტრომ განმარტა აგრეთვე, რომ იმ პირთ, რომელთაც გამოცდის შემდეგ პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლის ხარისხი მიენიჭათ, უფლება ეძლევათ საშუალო სასწავლებელში კლასსის დამრიგებელთა ამხანავის ადგილი დაიჭირონ.**

◆ **1898 წელს ხაზინამ გადასდო 90 მილიონი მ. რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლად. ვრცელის გეგმით დაწყებული სამუშაოები, ახალი გემების აშენება, უკვე დასრულებულა და ერთი სამად გაუძლიერებიათ წყნარ ოკეანის ესკადრა. წელს შეუდგებიან კიდევ ახალ ჯავშნიან გემის აშენებას.**

◆ **გაზ. „ურალ"-ის სიტყვით, ვიატკის შინა მრეწველნი გლეხები მეტოქეობას უწევენ გრამოფონების საზოგადოებათ, ამზადებენ და ჰყიდიან იაფ-ფასიან გრამოფონებს (5 მანათად), რომელთაც კარგი ხმა აქვთ თურმე.**

◆ **რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ მოკლე ხანში სუვალკის გუბერნიის გზატკეცილებზე ავტომობილებით (ორთქლ-მავალი ეტლი) მოძრაობა გაიმართება. ფოსტას ამ ავტომობილებით გაჰგზავნიან და მგზავრთათვისაც მოაწყობენ განკაკუთრებულ ავტომობილებს. ამ საქმის მოთავეს, იულიან იანკოვსკის, უკვე მიუღია მთავრობისაგან ნებართვა.**

◆ **რკინის გზათა ექიმების კრებას შეუმუშავებია შემდეგი ზომები მატარებლების საშუალებით გადამდებ სნეულებათა გავრცელების წინააღმდეგ. პირველ და მეორე კლასებში სკამებსა და კედლებზედ იმისთანა მაუდს გააკრავენ, რომელიც ნაკლებათ ტალახიანდება, მტვერს არ შემოიკრებს და ადვილად გასაწმენდია. ვაგონების სახურავებზე ისეთ მოწყობილებას გამართავენ, რომელიც ვაგონის ჰერს გააგრილებს. ვაგონებში უნდა იქნეს საფურთხებელთა საკმაო რიცხვი. აკრძალული იქნება აგრეთვე თუთუნის მოწევა.**

პრესსა

„ნოვ. ვრ.-ს" თანამშრომელი მსჯელობს რუსეთის პედაგოგების შესახებ და აღნიშნავს, თუ რამდენად მოუმზადებელნი არიან ისინი სერიოზულ მოღვაწეობისათვის. პედაგოგიის სფერაში სრულიად გაუქმებულია გონიერი მსჯელობის, ლოგიკის კანონები მაგალითად:

მკურნალები, სანამ თავის ხელობას შეუდგებოდნენ, დიდხანს სწავლობენ სამკურნალო საგანს თეორიულად და პრაქტიკულად, კლინიკებსა და აუდიტორიებში. პირველ ოპერაციებს პროფესორების ხელმძღვანელობით აკეთებენ. იურისტები, უნივერსიტეტის კურსს რომ დაასრულებენ, გამოცდილ ვექილების თანაშემწეებად ჩაიწერებიან ხოლმე, სანამ თავის საქმეში არ დახელოვნდებიან და დამოუკიდებელ პრაქტიკის უფლებას შეიძენენ. ინჟენერებსაც, სანამ სასწავლებელში არიან ისინი, პრაქტიკულ სამუშაოზე ჰგზავნიან სავარჯიშოდ. ყველა ზემოხსენებულ სფერაში ლოგიკის კანონი სუფევს, პედაგოგიაში კი იგი კვალ-წმინდადაა გამქრალი. დაასრულებს თუ არა ახალგაზდა კაცი უნივერსიტეტის ან საშუალო სასწავლებლის კურსს მასწავლებლად და აღმზრდელათ ხდება. სრულიად გამოუცდელ კაცს ბავშვებს მიანდობენ ხოლმე აღსაზრდელად იმ აზრით, რომ იგი თან-და-თან გავარჯიშდება თავისს ხელობაში. ამ მხრით მოსწავლეები ჯარის კაცებზე უფრო უარეს პირობებში არიან ჩაყენებულნი. ჯარისკაცებს და კავალერისტებს თივით გატენილ ფშუტუროებთან საომრად გამოიყვანენ ხოლმე, აჩეხვინებენ ამ ფშუტუროებს და ამნაირად მტერთან საბრძოლველად ამზადებენ. ამ მხრივ ფშუტუროებს ცოცხალ ადამიანებთან შედარებით უპირატესობა აქვთ. მასწავლებელი კი სრულიად მოუმზადებელი გამოდის ცოცხალი ადამიანის და არა ფშუტუროს აღსაზრდელად.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, „ნოვ. ვრემ."-ს თანამშრომლის სამართლიან მსჯელობას, მხოლოდ უნდა დავსძინოთ, რომ ჯარის კაცებისა და მასწავლებლების მოქმედებას ერთი რამა აქვთ საერთო—ჯარის კაცთა ხელიდან დასახიჩრებული უსულო ფშუტუროები გამოდიან, პედაგოგების ხელიდან-კი—დასახიჩრებული სულდგმული ფშუტუროები.

⁂

ჟურნ. „პრომიშლ."-ს რედაქციას განზრახვა აქვს გამოსცეს წიგნაკები, სადაც მოთავსებული იქნება წერილები ქარხნებში მანქანების მოქმედებისაგან წარმომდგარ უბედურ შემთხვევათა შესახებ. ერთი წიგნაკი უკვე გამოსულა რედაქციისაგან მოწინავე წერილით.

რუსეთის ქარხნებში იმდენი უბედური შემთხვევა ჰხდება, რომ არ შეიძლება არ დავუფიქრდეთ ამ სამწუხარო მოვლენას,—ამბობს ჟურნალის რედაქცია. დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ იმ საკითხის გამორკვევას, თუ რა და რა საშუალებით შეიძლება ამ უბედურ შემთხვევათა აცდენა და შემცირება. საჭიროა მიექცეს ყურადღება იმ შემთხვევათ, რომელთა მიზეზი მანქანების მოუწყობლობაა და მუშაობის პირობათა განუწესრიგებლობა; დასავლეთ ევროპაში კარგა ხანია, რაც მიაქციეს ყურადღება ამ გარემოებას. იქ სხვა-და-სხვა სავალდებულო დადგენილებანია გამოცემული ქარხნების მეპატრონეთათვის. მუშების მდგომარეობა იქ ამ მხრივ ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილია. ჟურნალის რედაქცია შეუდგება სხვა-და-სხვა ღონისძიებათა გამოკვლევას მანქანების მოწყობილების შესახებ. გამოსცემს ადვილ-გასაგებ წიგნაკებს ამ საგანზე და შეავსებს ნაკლს, რომელიც დღეს რუსულ ტეხნიკურ ლიტერატურაში არსებობს. ამ წიგნაკებში მოთხრობილი იქმნება, თუ რა და რა საშუალებით შეიძლება უბედურ შემთხვევათა აცდენა, რანაირად უნდა ჰმართონ მუშებმა მანქანები და სხ.

ერთ რასმეს მივაქცევთ. გერმანელნი ისე არაფრისთვის არა ზრუნავენ, როგორც ბავშვის ჯან-მრთელობისთვის, ამიტომ ყველა ქალაქში არსებობს ყვავილის ასაცრელი ინსტიტუტები და რძის გამომკვლევი ლაბორატორიები. ყველა ქალაქს უსათუოდ რამდენიმე ექიმი ჰყავს, რომელნიც ყვავილის აცრის მეტს არაფერს აკეთებენ. ვიდრე სკოლას გაათავებს, ბავშვს ორჯელ უცრიან ყვავილს. ლაბორატორიებში ყოველ დღე იკვლევენ რძეს, რომელსაც პოლიცია ქალაქის ყველა კუთხესა და ქუჩიდან ჰგზავნის. ცუდ რძის გაყიდვისათვის სასტიკი პასუხის მგებლობაა. თვით ლაბორატორია ათას ნაირი აქვთ ქალაქებს: საქიმიო, საბაქტერიოლოგო, საჰიგიენო. ეს ლაბარატორიები ყოველ კვირა, თითქმის ყოველ დღე იკვლევენ წყალს, ჰაერს, ნიადაგს, მტვერს ქუჩასა და სკოლებში და სხვას.

გამოფენაზე სამაგალითოდ ყოფილა მოწყობილი ეს განყოფილება. თავზე აწერია: „სახალხო ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა". არა სპეციალისტსაც-კი ამ პავილიონში ნათლად შეუძლიან გაიცნოს სხვა-და-სხვა ბაქტერიები, გაიგოს როგორა ჩნდება ესა თუ ის სენი, შემდეგ როგორა ძლიერდება ან ჰქრება. სტოლებზე აწყვია კაცის ფიგურები, სანთლისაგან მომზადებული. ზოგი ფიგურა ხოლერიანია, ზოგი ქლექიანი, ზოგს სოფლე აქვს, დიფტერიტი, ზოგს სიფილისი. ამასთან ყველა ამ სენის სხვა-და-სხვა ხანაა აღნიშნული. ყველგან მიკროსკოპები აწყვია, რომ შემსვლელმა უფრო კარგად გასინჯოს ფიგურები. ფიგურები ისე მოხერხებულად არის თურმე დამზადებული, რომ სენის განვითარების პროცესის გაცნობა და თვალით დანახვა ყველას შეუძლიან.

გამოფენის კარგა მოზრდილი კუთხე „ქალაქის მებაღეობას" უჭირავს. სასეირნო ბაღების გამრავლება ევროპაში ქალაქის თვითმმართველობათა უმთავრეს საზრუნავს შეადგენს. ჰაერის დაწმენდისთვის ქუჩის სისუფთავესთან ერთად ხეების სიმრავლესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ქალაქები ფულს არა ჰზოგავენ ბაღების გასაშენებლად. ციფრების აღნიშვნას აღარ შეუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ საქმეში ქალაქს მცხოვრებნიც დიდ დახმარებას უწევენ. ჯერ ერთი—ყველა სცდილობს თავის სახლის წინ ხეების გაშენებას, მეორე—წარმოუდგენელია, რომ გერმანელმა ბაღში ან სხვაგან სადმე ხეს ავნოს: ტოტი მოსტეხოს ან კანი გადააძროს.

ყველაზე საყურადღებო გამოფენაზე მაინც სასკოლო განყოფილება ყოფილა. არც ერთი სხვა განყოფილება ისე არ არის თურმე მოწყობილი, როგორც ეს. საკვირველიც არ არის: სკოლის სიმრავლით, სიკარგით და სხვადასხვაობით გერმანიას ვერავინ ამოუდგება გვერდში. ხოლო უპირველესი ადგილი სკოლებს შორის გერმანიაში ქალაქის (თვითმმართველობის) სკოლებს უჭირავთ. გაზეთები ჯერ-ჯერობით დაწვრილებით არ გადმოგვცემენ ცნობებს ამ განყოფილების შესახებ. ყველა კორესპონდენტი იმას ამბობს, ეს განყოფილება იმდენად მდიდარია და მრავალფეროვანი, რომ იმის დაწვრილებით განხილვა შემდეგისთვის გადავდეო. ჩვენც ამ ჟამად ბევრს ვერაფერს ვაუწყებთ მკითხველს.

სასკოლო განყოფილებას 10 დიდი დარბაზი და ოთახი უჭირავს. ამ დარბაზებში ყველაფერია, რასაც სკოლასთან კავშირი აქვს: მოდელები სასკოლო შენობებისა, სკამებისა, სტოლებისა, წიგნთ-საცავებისა, საწოლ ოთახებისა და სხვა. ნუ დაივიწყებთ, რომ ქალაქის თვით-მმართველობებს პირველ დაწყებით სკოლებს გარდა აქვთ საშუალო, სატეხნიკო, საპროფესიონალო დ მრავალი სხვა სკოლა. ზოგგან ქალაქის გამგეობანი თვით ადგენენ საშუალო სკოლისთვის პროგრამებს, აუქმებენ, მაგალითად, ლათინურ ენას და იმის ნაცვლად სხვა სასარგებლო საგნებს აწესებენ. ძნელია იმის ჩამოთვლაც-კი, რა ნაირი და რა ჯურის სკოლა არსებობს გერმანიის ქალაქებში. ქალებისთვის, მაგალითად, იშვიათია ისეთი დიდი ქალაქი, რომელსაც დიასახლისობისა და კულინარობის სკოლა არა ჰქონდეს დაარსებული.

რადა თქმა უნდა, გერმანელნი დიდ ყურადღებას აქცევენ მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობას. ამისთვის, ვინ იცის, რა საშუალებას არა ხმარობენ. ბევრ სკოლასთან საბანებლები და ვანებია, სადაც ბავშვები კვირაში ერთხელ მაინც ცივსა ან თბილ წყალში ბანაობენ. ბევრგან გონებით დაღლილ ბავშვებს ადვილ ხელსაქმეზე ასვენებენ: აქვთ სახელოსნოები, ბაღები, ბოსტნები და სხვა. ამავე განყოფილებაში მოთავსებულია ცნობები წიგნთ საცავების შესახებ. სკოლა არ არის გერმანიაში, რომელსაც თვალ-საჩინო წიგნთ-საცავი არა ჰქონდეს. დრეზდენში უსინათლოთა სკოლაა და ამ სკოლასაც კი მდიდარი წიგნთ-საცავი აქვს. იგი 2700 ტომამდე შეიცავს. წიგნთ-საცავის წყალობით უსინათლო ბავშვები კითხულობენ (რასაკვირველია, იმათთვის მომზადებულ წიგნებით) ჰაუპტმანის დრამებს, აუერბახისა და როზეგგერის მოთხრობებს, გუსტავ ფრეიტაგის რომანებს და სხვას.

მე—ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბა-სოფლები

—

ბახმარო (გურია). 11 ივლისს „საზოგადო" სახლის დარბაზში მოხდა მოაგარაკეთა კრება. კრებას ბევრი საქმე ჰქონდა გასათვალისწინებელი ბახმაროს საკეთილდღეოდ. ჩვენც დარწმუნებული ვიყავით, რომ მოაგარაკენი ყოველს ღონეს იხმარდნენ თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა: აქაც ჩვენებურმა „შუბ-ხუმრობამ" იჩინა თავი და კრებას სარჩულად ერთმანეთის ლანძღვა დაედო. კრების თავმჯდომარედ იყო შ. შარაშიძე, მდივნად—ილია ქარცივაძე. ამათ არჩევის დროს ოპოზიციამ ისეთი ყვირილი ასტეხა, რომ სხვისა დასახელება-კი შეუძლებელი იყო. თავმჯდომარემ წაიკითხა კომისიის მოხსენება. მოხსენების უმთავრესი კითხვები ეხებოდა ბახმაროს სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას. რადგან ბახმაროს ახლო-მახლო მიდამოები სავსეა ოთხფეხ ცხოველებით, რომელნიც თავისუფლად შემოდიან ბახმაროში და საშინლად ანეხვიანებენ აგარაკს, კომისია საჭიროდ სცნობდა დაექირავებინა თოხი დარაჯი, რომელთაც დაევალებოდა ცხოველების აგარაკიდან გარეკა და გზების დასუფთავება. მეორე საქმე ეხებოდა ფეხის-ადაგების გაუმჯობესებას. ამ ორმა საქმემ დაუსრულებელი კამათი გამოიწვია. ორატორებმა სწორედ რომ ისახელეს თავი დაუსრულებელის ლაპარაკით. ერთი ორატორი დასავლეთ ევროპის პარლამენტსაც კი შეეხო. თავმჯდომარე ლაპარაკის ნებას მხოლოდ რამდენსამე კაცს აძლევდა. „მოსე, ეხლა თქვენ ბრძანდებით!" წამოიძახებდა თავმჯდომარე და მოსეც მოჰყვებოდა წყლის ნაყვას. მოსეს შემდეგ ლაპარაკობდა ნესტორ და ნესტორის შემდეგ ერმილე. მთელი ორი საათი გასტანა კამათმა და ბოლოს, როგორც იყო, უარჰყვეს მოხსენების პირველი მუხლი და გამოსთქვეს სურვილი: მწყემსებმა არ შემოუშვან ნახირი ბახმაროში, ხოლო სახლის პატრონებს დაევალოთ თვითონვე სწმინდონ გზებით. რადგან ასეთი „დადგენილება" იურიდიულს მნიშვნელობას მოკლებული გამოდგა, ამ დადგენილებას მიეცა მხოლოდ ზნეობრივი ხასიათი. მოხსენების მეორე მუხლი მიღებულ იქმნა იმ ცვლილებით, რომ სახლის პატრონებმა გადაიტანონ ფეხის-ადაგები დანიშნულ რაიონში და მოუთხარონ ღრმა ორმოები. შემდეგ ჰსურდათ კრება მეორე დღისათვის გადაედოთ, მაგრამ ადგილობრივმა ბოქაულმა უარი განაცხადა შემდეგში კრების ნება-რთვაზე და ისევ შეუდგნენ საქმეს. საქმე ეხებოდა ჭაობების ამოშრობას. კრებამ შესაძლოთ სცნო დაშრობა მხოლოდ ისეთი ჭაობები, რომელთა გაშრობა აუცილებელს მოთხოვნილებას შეადგენს. მეოთხე მუხლი ეხებოდა „საზოგადო" რესტორანში სისუფთავის დაცვას და კერძების გადიდებას. კრებამ ერთხმად მიიღო ეს მუხლი და აარჩია 14 კაცი, რომელთაც მორიგეობის დროს თვალყური უნდა ადევნონ რესტორანში წესიერების დაცვას. მეხუთე მუხლი ბახმაროს განათების შესახებ უარყოფილ იქმნა. უკანასკნელი საკითხი ბახმაროში წარმოდგენების გამართვას ეხებოდა. ამ წლამდე ბახმაროში იმართებოდა წარმოდგენები და შემოსავალი აგარაკს ხმარდებოდა. წელს კი მთავრობამ ნება არ დართო წარმოდგენების მართვისა. კრებამ აარჩია 5 კაცი, რომელთაც დაევალა იშუამდგომლონ მაზრის უფროსის წინაშე. კრება დასრულდა საღამოს ცხრა საათზე. საზოგადოებამ მოითხოვა ოქმის წაკითხვა. თავმჯდომარე მდივანს ხელიდან ჰგლეჯს ქაღალდს და რაღაცას ბუტბუტებს. ხმები: მდივანმა წაიკითხოს, თავისს ნაწერს უფრო გაარჩევს. მდივანი თავმჯდომარეს ართმევს ქაღალდს და სცდილობს წაიკითხოს: ხმები: სანთელი ახლოს მიუტანეთ. მდივანი: ბატონებო, ბოდიშს გიხდი, რომ ჩემი მოვალეობა ვერ შევასრულე თქვენდა სასურველად. მე, სადაც კი ვყოფილვარ მდივნად, ასე მოვქცეულვარ: წინა ღამით შემიდგენია ოქმი და მეორე დღეს კედლებზე გამიკრავს. ვეცდები ამაღამ შევადგინო და ხვალ ამავე სახლის კედელზე იქმნება გაკრული, სადაც ყველას შეეძლება წაიკითხოს.

ასე დასრულდა ბახმაროს პირველი კრება.

მოაგარაკე.

მცენარეულობის გამოფენა გაგრაში

—

გამოფენა გაიმართება შავი ზღვის პირად გაგრაში. გამოფენის გამმართველი კომიტეტი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გამოფენა დაიწყება სექტემბრის შუა რიცხვებში და გასტანს 1 ნოემბრამდე. გამოფენას ჰმართავს კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება. იგი შემდეგ განყოფილებებისაგან შესდგება:

1. თესლეულობა, 2. ნერგი და სანერგე, 3. დეკორატიული ბაღოსნობა, 4. ხილეულობა, 5. ბოსტნეულობა, 6. მეღვინეობა და მევენახეობა, 7. გამხმარი ხილეულობა და მცენარეულობა, 8. ძვირფასი და სამრეწველო მცენარეულობა, პური, ქერი და სხვა, 9. ტყის მოვლა-გაშენება და ხეტყის წარმოება, 10. თაფლიანი მცენარეები, მეფუტკრეობა, 11. მეთუთეობა, მეაბრეშუმეობა, 12. საბაღო იარაღი და მანქანები, 13. სამეცნიერო და სალიტერატურო ნაწარმოები, 14. ნიადაგის მოვლა, 15. ბრძოლა მწერებთან და სეტყვასთან, 16. სასკოლო საქმე.

ექსპონატების გაგზავნა შეუძლიანთ კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის მემამულეებს. ადგილი გამოფენაზე ყველას უსასყიდლოდ ეძლევა. გამოფენის დროსვე მოხდება მცენარეულობის მომყვანთა კრება, აგრეთვე გაიმართება კითხვები, ლექციები და სხვა. ექსპონატები გაგრაში 1 აგვისტომდე უნდა ჩავიდეს. რუსეთის სანაოსნო საზოგადოება ექსპონატებს შეღავათიანის ფასით გადაზიდავს.

ცნობებისთვის მსურველთ უნდა მიჰმართონ გაგრაში—კომიტეტს, ტფილისში—რუს. საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, ა. ს. ფირალოვს და საოლქო კომიტეტებს ქუთაისს, კავკავს, ყარსს, ბაქოსა და სხვაგან.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივლისი.

რიაზანი. ნაშუადღევის 1 საათსა და 17 წ. ხელმწიფე-იმპერატორმა, ხელმწიფე-დედოფლებმა, დიდმა მთავრებმა და დიდის მთავრების მეუღლეებმა და ასულებმა გაიარეს აქა და მოსკოვს წაბრძანდნენ.

საროვი. წმ. სერაფიმეს სახელობაზე აგებული ტაძარი აკურთხეს. ტაძარი ჯერ დასრულებული არაა. ტაძრის შესავალში წმ. სერაფიმეს სენაკი სდგას. ამ სენაკში წმ. სერაფიმე 17 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და აქვეა ის ქვა, რომელზედაც წმინდა სერაფიმე ლოცულობდა. მეოთხე დღეა, რაც მლოცავები განუწყვეტლივ ემთხვევიან წმ. ნაწილს. რაც კი საწყაულთ-მოქმედება ჰხდება, ყველას თავად შირინსკი-შიხმატოვის კანცელარია, პოლიცია და სხიმონახი სიმეონი ჰნუსხავს.

ყაზანი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ყაზანის საგუბერნიო საერობო დადგენილება იმის თაობაზე, რომ დაზღვევის თანხიდან 150,000 მანეთით გუბერნიაში ტელეფონი გაიმართოს. სესხის ვადა—28 წელიწადია, სარგებელი 6 პროც.

ეკატერინოდარი. სამთო ინჟინერმა ვინდამ 200 ვერსის სიგრძეზე სუჯუქ ნავთის მდიდარი წყაროები აღმოაჩინა; ნავთი ქვიშრობიან და თიხიან მიწიდან ამოდის; ეს მიწა თევზის ნაშთით და ნახშირად ქცეულ მცენარეებითაა სავსე; ამნაირად მტკიცდება, რომ კავკასიის ნავთი თევზის ნაშთებიდანაა წარმომდგარი.

მადრიდი. მეფე იქმნება საზღვარ გარედ წავიდეს რამდენისამე მონარქის სანახავად.

ბარცელონა. ხარების ჭიდაობის დროს პოლიციამ დაატუსაღა ანარქისტი, რომელსაც ორი დინამიტის ყუმბარა ჰქონდა.

რომი. ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. მეხუთედ გამოჩნდა კვამლი სფუმატიდან.

ნიუ-იორკი. აქ მიიღეს ჩინეთის რეფორმების პარტიისაგან უცხოეთის სახელმწიფოებთან დაწერილი თხოვნა. ჩინელი რეფორმისტები თხოულობენ, ამბოხებაში გარეულ ჩინელ ჟურნალისტებს ჩინეთის მთავრობის ხელში ნუ ჩააგდებთ დასასჯელადაო.

სტამბოლი. სალონიკის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარედ ნამყოფი კლიმ-ფაშა წავიდა დედე-აგაჩში, სადაც აჯანყებულთ ორი ხიდი დაანგრიეს.—ბოლგარიიდან ორი რაზმი გადმოვიდა.

22 ივლისი

რომი. საღამოს 6 საათსა და 25 წუთზე სიქსტინის კაპელას სახურავზე გამოჩნდა მექვსე კვამლი სფუმატიდან, რომელიც 10 წუთის განმავლობაში ორჯერ ამოვიდა.

საროვი. მლოცველთა რიცხვი კლებულობს. სასტუმროებში ცარიელი ნომრები არის. ნომრებისა და ცხენების ფასი შემცირდა.

მინსკი. იგუმენის მაზრაში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. დაბა შაცკი და ბევრი სოფელი ნახევრად დაანგრა. ზარალი ძალიან დიდია.

რომი. რუსეთის დრაგუნთა ლიტოვის პოლკის დეპუტაცია საღამოს რაკონიჯში მოვიდა. მეფის სასახლეს ინახულებს, მერე სალუცცოს გაემგზავრება და ინახულებს იტალიის სამხედრო დეპუტაციას, რომელიც ამ ცოტა ხანში რუსეთში იყო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 18 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
5% სახელმწიფო რენტა	99⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	440½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335½ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	88½ „
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	85⅞ „
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92½ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91¾ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	190 „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 8 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ფოთისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

—

შავი-ქვის მრეწველთა კრება

აცხადებს: 19 ივლისს ვერ შესდგა საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც უნდა გაცემულიყო კილოვარტის სამრეწველო გზა-ტკეცილის გაკეთება, ამიტომ საჯარო ვაჭრობა ამ გზის გასაცემად (სიგრძე 822 საჟ., სამუშაო 14,000 მან.) მოხდება საბჭოს სადგომში ქუთაისს, 26 ივლისს 1903 წელს, შუადღის 12 საათზე

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმან უნდა ვაჭრობამდე შეიტანოს ბე ხუთასი მანეთი (500 მან.) ნაღდ ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ სარგებლიან ქაღალდებით.

(1—5.—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მისი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებას სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—153)

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ

„მოგზაურის"

რედაქციაში იყიდება შემდეგი იაფფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ფასი 5 კაპ.
2. ყელ-ჭირვება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კაპ.
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფასი 5 კაპ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფასი 5 კაპ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფასი 7 კაპ.
7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფასი 5 კაპ.
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფასი 5 კაპ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კაპ.
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ აქიმები დანით? ფ. 5 კ.
12. „მურია", საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, 5 კაპ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კაპ,
14. სულით ავადმყოფი მოსწავლენი, ფ. 5.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფასი 7 კაპ.
16. მეფე ლამბა, საყმაწვილო და მოზრდილთათვის მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კაპ.
17. საუნჯე ავადმყოფისა ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობათა, ფ. 15 კაპ.
18. საუნჯე მეურნისა ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება-გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქებისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კაპ.
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კაპ.
20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.
21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიურობა, ფ. 7 კაპ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კაპ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კაპ.
24. დროა გონს მოვიდეთ! ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კაპ.
25. მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ციყუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი, ფ. 10 კ.
27. ლიჰნარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კაპ.
28, ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კაპ.
29. შიო-თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კ.
30. როგორ ცხოვრობენ ჩინელები, ფ. 10 კ.
31. ცხენის წურბელა, მოთხრობა, ფ. 10 კ.
32. მაჰმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კაპ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კაპ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ. 10 კ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, სურათებით, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის საკვებ ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კაპ.
39. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფ. 5 კაპ.
41. ალბომი „ქართველთა ტომი", ასი მეტი სურათით, 70 კაპ.
42. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ან მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯათაც სამ-სამი კაპეიკი წაუმატოს თვითეულ დაბარებულ წიგნზე.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-საცავებშიაც შეიძლება იყიდონ. (10—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 22 Іюля, 1903 г.
ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.
(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)